

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
მისამართი: თბილისი, მ. თამარაშვილის 15ა

მ ი თ ი თ ე ზ ა № 003400/თ

შედგენის თარიღი 24.03.2022 წ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების ან ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ობიექტის დასახელება: შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“ ს/კ 416311707
დაწესებულების ხელმძღვანელი: დირექტორი:

იურიდიული მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაქლია.

ფაქტობრივი მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაქლია.

ინსპექტირების ჩატარების საფუძველი: ბრძანება ნომერი № 09-65/მ 21 /02/ 2022 წ.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი/სამსახური:

ეროვნული კლასიფიკატორები (NACE 2016): C.24.52.0 ფოლადის ჩამოსხმა.

განსაკუთრებით მაღალი რისკის სექტორი.

დასაქმებულთა წარმომადგენელი: არ ყავთ.

დასქმებულთა რაოდენობა სულ 57. 50 მამაკაცი 7ქალი

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე 2022 წლის 23 თებერვალს განხორციელდა ინსპექტირება შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“ -ის კუთვნილ საწარმოო ბაზის ტერიტორიაზე (მის: გარდაბნის რაიონი, სოფ. აღთაქლია) სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ინსპექტორების მიერ. ინსპექტირების პროცესში მოვახდინეთ დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრება, ობიექტის დათვალიერება, ფოტო-ვიდეო გადაღება.

ინსპექტირების შედეგად გამოიკვეთა შრომის უსაფრთხოების ნორმების შემდეგი დარღვევები:

დამსაქმებელი ვალდებულია საწარმოო გარემოს და სამუშაო პროცესის გათვალისწინებით მოახდინოს ყველა არსებული საფრთხის იდენტიფიცირება, მათგან მომდინარე რისკების შეფასება და შესაბამისი საკონტროლო ღონისძიებების დანერგვა – განხორციელება. საფრთხის იდენტიფიცირება და რისკის შეფასება ხორციელდება არა შერჩევით, არამედ მთელი დაწესებულების მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ, თუ ორგანიზაციულ დონეზე. საფრთხეების იდენტიფიცირება არის მუდმივად განახლებადი პროცესი, რა დროსაც ხდება სამუშაო სივრცის და სამუშაო პროცესის სრული შესწავლა, ყველა არსებული საფრთხის გამოვლენა და აღწერა. საფრთხეების იდენტიფიცირებისას დამსაქმებელი აღწერს თუ რა ტიპის საფრთხე ემუქრება ან შესაძლოა დაემუქროს კონკრეტული სამუშაოს განმახორციელებელ დასაქმებულს ან/და მესამე პირ(ებ)ს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის, ამ სამუშაოს შესრულებისას არსებული საწარმოო გარემოს და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. დამსაქმებელი ასევე ვალდებულია განახორციელოს სამუშაო სივრცეში/ადგილ(ებ)ზე იდენტიფიცირებული საფრთხეებიდან მომდინარე რისკის საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა, საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას დამსაქმებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს კონტროლის იერარქიით: ა) საფრთხის აღმოფხვრა; ბ) საფრთხის შემცირება; გ) საფრთხესთან ადამიანების კონტაქტის პრევენცია (საფრთხის იზოლირება); დ) უსაფრთხოდ მუშაობის პროცედურები; ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. რისკის კონტროლის შესაბამისი იერარქიის არჩევისას, არსებული სამუშაო გარემოს სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე დამსაქმებელმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს კონტროლის იერარქიის პირველ საფეხურს (საფრთხის აღმოფხვრა), ხოლო დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, თუ ვერ ხერხდება კონტროლის იერარქიის სრული დაცვა, იხელმძღვანელოს დადამავალი მიმართულებით უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე. დამსაქმებელი საწყისი რისკის დონის შეფასების შემდგომ გატარებული ღონისძიებების შემდეგ აფასებს ნარჩენ რისკს და განსაზღვრავს შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს ნარჩენი რისკის მართვის მიზნით. იმ შემთხვევაში, როცა დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, დამსაქმებელი ვერ ახერხებს სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვას სრული მოცულობით კონტროლის იერარქიის გათვალისწინებით, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და სხვა აუცილებელი დოკუმენტების განხილვის შემდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ამასთანავე, შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა შეიზღუდოს დასაქმებულებზე მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების დრო (დროით დაცვა). ამასთან, ყოველმა დასაქმებულმა უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია შრომის პირობების, მათი მავნეობის ხარისხის, ჯანმრთელობისათვის შესაძლო მავნე, არახელსაყრელი შედეგების, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, შრომისა და დასვენების რეჟიმის, სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების, მავნე ფაქტორთან კონტაქტის დროის შემცირების ზომების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ დამსაქმებელს ავალდებულებს სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ, ასევე არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ასევე იმ რისკების შესახებ, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები სამუშაოების შესრულების დროს. დამსაქმებელი ასევე ვალდებულია რისკის შემცველ სამუშაო ადგილზე დაუშვას მხოლოდ ის დასაქმებული რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება ინსტრუქტაჟი.

საწარმოს სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საწარმოო ფაქტორების მომუშავეებზე მავნე ზემოქმედების სხვა მეთოდებით აცილება ტექნიკურად შეუძლებელია. ინფრაწითელი და ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან თავლების დასაცავად, მტვრის ფაქტორთან მათი შესაძლო კომბინაციისას, აუცილებელია მომუშავეთა უზრუნველყოფა დამცავი სათვალეებით. სამუშაო ადგილებზე, სადაც შეიძლება ხმაურის ზღდა-ს გადამეტება, მომუშავენი უნდა იყენებდნენ სმენის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შენახვა, რეცხვა, დეზინფექცია, შემოწმება, გამოცდა და რემონტი უნდა წარმოებდეს ცენტრალიზებულად. მომუშავეები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი აუცილებელი სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით ან აქვთ ისინი მოუწესრიგებელი, არ უნდა იყვნენ დაშვებული სამუშაოზე, მუშებს და მოსამსახურეებს შესწავლილი უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესები მათ სწორ და დროულ გამოყენებაზე კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს ტექნიკური ზედამხედველობის წესით.

საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯი საჭიროა დასაქმებულებისთვის მოეწყოს სასადილო ოთახი და აბანო გასახდელეები სადაც დაცული იქნება სანიტარიული ნორმები.

დამსაქმებლის ვალდებულებაა უზრუნველყოს სამუშაოს ადაპტირება დასაქმებულთან, განსაკუთრებით - სამუშაო სივრცის მოწყობის, სამუშაო აღჭურვილობის, სამუშაო და საწარმოო მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით. ობიექტზე გამიჯნული არ არის ავტომობილების და ფეხითმოსიარულეთა სავალი გზები, საწარმოში არსებული სივრცე გადატვირთულია ნედლეულით და ნარჩენებით.

ობიექტზე არსებული ელექტროპულტით მართვადი ამწეების და სხვა ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმების დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, საჭიროა კომპეტენტური პირის ან პირთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნას ობიექტზე არსებული სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოხდეს მისი დოკუმენტირება.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები: ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი). უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას.

დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულთათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ობიექტის ძირითადი საქმიანობაა ფოლადის ჩამოსხმა, დასაქმებულებს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე შეხება უწყვეტ მანგანუმთან რომელსაც საწარმოში იყენებენ მაღალი ხარისხის ფოლადის მისაღებად. მანგანუმს ახასიათებს ორგანიზმზე პოლიმორფული მოქმედება. ტოქსიკურ მოქმედებას იგი ახდენს ძირითადად ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, როგორც სუსტი ალერგენი, იწვევს ბრონქული ასთმის და ეგზემის განვითარებას, მტვრის ხანგრძლივი შესუნთქვის შედეგად კი კუთილთვისებრიანად მიმდინარე პნევმოკონიოზს - მანგანოკონიოზს, ან კონიოგენურ ბრონქიტს. მანგანუმის შენაერთების ორგანიზმზე მოქმედებისას ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, რომელიც წარმოადგენს მანგანუმით ქრონიკულ პროფესიულ ინტიქსიკაციას, ანუ მანგანიზმს.

ინსპექტირების პროცესში დამსაქმებლის წარმომადგენლის განმარტებით ტექნოლოგიურ პროცესში სადნობ ღუმელებში მაღალი ტემპერატურის მისაღწევად ისინი გამოიყენებენ აზბესტის რელონებს, აზბესტი წარმოადგენს სერპენტინის ჯგუფის (ქრიზოტილ-აზბესტი) და ამფიბოლის ჯგუფის (აქტინოლიტი, ამოზიტი, ანტოფილიტი, კროკიდილიტი, ტრემოლიტი და სხვა) ბოჭკოვანი მინერალების კრებით სახელწოდებას, რომელიც ბუნებაში გვხვდება იზოლირებული ან სხვადასხვა ნარევის სახით. ჰაერში მყოფი აზბესტის ბოჭკოების ან აზბესტშემცველი მტვრის მაღალი კონცენტრაციების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად შეიძლება განვითარდეს პნევმოკონიოზის სპეციფიკური ფორმა (აზბესტოზი) და ავთვისებიანი

სიმსივნური წარმონაქმნები (ფილტვების, კუჭის კიბო, პლევრის მეზოტელიომა და სხვა). აზბესტის მიწოდება საწარმოში უნდა წარმოებდეს ტომრებში, ხოლო მათი გახსნა და დაცლა განტარვის მანქანის დახმარებით გაუხშობის ქვეშ, ან ასპირაციით მოწყობილ სპეციალურ ადგილზე, აზბესტის საწყობები, აზბესტის დოზირების კვანძებიანი მოსამზადებელი განყოფილებები უნდა განთავსდეს ცალკე მდგომ შენობებში ან იზოლირებულ სათხევებში, აზბესტის დატვირთვა-გადმოტვირთვის, საწარმოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების გზები, საწყობები, განტარვის, მშრალი აზბესტის დოზირების და სხვა კომპონენტებთან შერევის, აზბესტშემცველი მასალების მექანიკური დამუშავების, თბო და ბგერამაიზოლირებული აზბესტშემცველი საფარით დაფარვის, მოცილების და რემონტის ადგილებში უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნები და წარწერები, რომლებიც შეზღუდავს უცხო პირების შეღწევას, საწარმოო შენობები და ნაგებობები, რომლებიც განკუთვნილია აზბესტსა და აზბესტშემცველ მასალებთან სამუშაოების შესასრულებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს დალექილი მტვრის ამწმენდი მოწყობილობებით. საწარმოო სათავსების, საკიდი კონსტრუქციების, მანქანების და მოწყობილობების გაწმენდა აზბესტშემცველი მტვრისაგან უნდა წარმოებდეს სპეციალური მეთოდებით (პნევმოწმენდა, სველი წმენდა და სხვა).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 13 ივლისის №216/ნ ბრძანების „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“ შესაბამისად, აღნიშნული ობიექტის ძირითადი საქმიანობა არის მაღალი რისკის შემცველი სამუშაოები, კერძოდ, ფოლადის ჩამოსხმა და თან ახლავს პროფესიული დაავადებების ჩამოყალიბების რისკები, მაგალითად, პნევმოკონიოზები გამოწვეული აზბესტით და სხვა მინერალური ბოჭკოებით (J 61), მანგანუმისა და მისი შენაერთების ტოქსიური ეფექტი (T57.2) ასევე მხედველობის ორგანოების პათოლოგია, კერძოდ, კატარაქტა. (H26).

საწარმოო მეტალურგიულ პირობებში ადამიანის ორგანიზმი ხშირად განიცდის შხამების კომბინირებულ ზემოქმედებას. სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მავნე ფაქტორები შეიძლება იყოს წარმოებაში გამოყენებული სხვადასხვა გამაღიზიანებელი ტოქსიკური ნივთიერება სილიკატი, მანგანუმი, გოგირდოვანი აირი და სხვა, ასევე წარმოების შედეგად წარმოქმნილი მავნე აირები, მაგალითად ნახშირბადის ოქსიდი (CO), აღნიშნული აგენტების მაღალი კონცენტრაციით ორგანიზმში მოხვედრისას შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ტოქსიკური პროფესიული ბრონქიტი, პნევმონიტი. ასევე, ფოლადსადნობი საამქროს საწარმოო ლუმელებთან და უწყვეტი/მუდმივი ჩამოსხმის უბანზე დნობა/ჩამოსხმის დროს სხივური ენერგიით სისტემატური დასხივების პირობებში შესაძლებელია დასაქმებულს განუვითარდეს მხედველობის ორგანოების პათოლოგია, კერძოდ, კატარაქტა. ობიექტზე არ არის შეფასებული ზემოთაღნიშნული ქიმიური ფაქტორების კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰაერში. აქედან გამომდინარე დამსაქმებლის მხრიდან არ ხორციელდება პრევენციული ღონისძიებების გატარება შესაძლო პროფესიულ მავნეობებზე. შესაბამისად ზედამხედველი ორგანოს მიერ მოხდა მწვავე ან ქრონიკული პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანა.

„სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №01-11/ნ ბრძანების მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულია: პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს ღონისძიებების გატარება (მუდმივ რეჟიმში) და მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი ზომები, საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირების მიზნით; საჭიროა დამსაქმებლის მიერ შეიქმნას პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფი ან/და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები: „პროფესიული პათოლოგიების“ მიმართულებით სპეციალიზებული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ი (ჰიგიენის, გარემოს ჯანმრთელობის და გარემოს და პროფესიული მედიცინის და სხვ. შესაბამის სფეროში) ან/და ქიმიკოსი ან/და ტოქსიკოლოგი და სხვა, რომელთა მომსახურების ხარჯებს სრულად ფარავს დამსაქმებელი. განსაზღვრეთ დასაქმებულთა ჯგუფი რომელთაც შეხება აქვთ ზემოხსენებულ საფრთხისშემცველ ფაქტორებთან და შეადგინეთ გეგმა გრაფიკი მათი შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევების შესახებ. ზემოაღნიშნული ღონისძიებები გაატარეთ კანონით განსაზღვრულ ვადებში და მიაწოდოთ ზედამხედველ ორგანოს ინფორმაცია მის შედეგებზე.

დამსაქმებელი ასევე ვალდებულია საწარმო აღჭურვის შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით და მიაწოდოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, ობიექტზე მაფორმირებელი გამტარი ხაზი არ არის აღჭურვილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით, ასევე, ფოლადსაღნობ ღუმელებიდან ამოფრქვეული მავნე აირების გასანეიტრალეზად ობიექტზე დამონტაჟებული სავენტილაციო გამწოვი სისტემები არ არის ეფექტური. საწარმოო სათავსების ჰაერის გათბობის, ვენტილაციის და კონდიცირების სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო ადგილებზე მიკროკლიმატის დადგენილ პარამეტრებს. დამსაქმებლის ვალდებულებაა უზრუნველყოს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალეზი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება;

ობიექტის ინსპექტირებისას დაფიქსირდა რომ არსებული მაღალი ძაბვის გამანაწილებელი კარადების კარები არ იყო დახურული კანონმდებლობის შესაბამისად. ელექტროდანადგარების შენობის, კამერების, ფარების და შემკრებების (გარდა იმ კამერებისა, რომლებშიც მიმდინარეობს მუშაობა) კარები დაკეტეთ ბოქლომით.

ამწეების კაბინები აღჭურვეთ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მასში სათანადო ტემპერატურული რეჟიმი და ჰაერის მომოქცევა სტანდარტების შესაბამისად.

აზბესტის ნარჩენების მართვასა და დამუშავებაზე ვრცელდება შემდეგი სპეციალური მოთხოვნები: ა) დემონტაჟის დროს აუცილებელია აზბესტის ნარჩენების წყლით დანაშვა. დემონტაჟით დაკავებული პირი აღჭურვილი უნდა იყოს დამცავი

სპეცტანსაცმლით. გამოყენებული დამცავი აღჭურვილობა საჭიროებს აზბესტის ნარჩენების ანალოგიურ მოპყრობას; ბ) აზბესტის ნარჩენები წარმოქმნის ადგილზე ინახება დროებით, სხვა ნარჩენებისგან განცალკევებით; გ) აზბესტის ნარჩენები დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს და დაილუქოს 2 ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პლასტიკატის ფენით; დ) შეფუთულ აზბესტის ნარჩენებზე უნდა გაკეთდეს აღნიშვნა სახიფათო ნარჩენების - აზბესტის შემცველობის შესახებ; ე) აზბესტის ნარჩენების ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ დახურული სატრანსპორტო საშუალებით; ვ) დაუშვებელია აზბესტის ნარჩენების აღდგენა.

ელექტროდანადგარების შენობის, კამერების, ფარების და შემკრებების (გარდა იმ კამერებისა, რომლებშიც მიმდინარეობს მუშაობა) კარებები არ არის დაკეტილი.

მაღალ ძაბვასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი დიელექტრიკული საშუალებებით (ხელთათმანი, მაღალი ძაბვის ინდიკატორი ე.წ. ციპა და ა.შ). და არ კონტროლდება მათი ლაბორატორიული შემოწმების ვადები და ვარგისიანობა.

ელექტროდანადგარებზე მომუშავე პერსონალის არა ქვს მინიჭებული ელექტროუსაფრთხოების ჯგუფი.

ობიექტზე ხმარებიდან ამოირთ არაქარხნული/კუსტარული კიბეები.

სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაო ადგილები უზრუნველყავით მოაჯირებით.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევების საფუძველზე გაიცა შემდეგი მითითებები:

N	გაცემული მითითება
1	<p>ორგანიზაციამ შეიმუშავოს და დანერგოს თანმიმდევრული პრევენციის ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოს და შრომის პროცესის თავისებურებებს. საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასების და მართვის სისტემაზე. კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები; 2. გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ; 3. შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები; 4. გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად; 5. აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები. <p>სამუშაო ადგილზე და სამუშაო სივრცეში განსაზღვრეთ კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დანერგეთ რისკის შეფასების სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორები და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 1. „ა,ბ,გ,დ,ე,ვ.“ ქვეპუნქტები.</p>

2	<p>საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია: ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 2.</p>	<p>რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია: ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 2.</p>
3	<p>დასაქმებულები აღჭურვეთ სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: სპეც. ტანსაცმლით, სპეც. ფეხსაცმელით, ხმაურმშობით, სპეც. ხელთათმანით, რესპირატორით, თვალისა და სახის დამცავი საშუალებებით, მაღალი ძაბვის დანადგარებთან მომსახურე პერსონალი ვადიანი დიელექტრიკული დაცვის საშუალებებით. უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა, დააწესეთ კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალებთ ისინი ახლით.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 3, „ზ“ ქვეპუნქტი და მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ბ“ ქვეპუნქტი.</p>	<p>დასაქმებულები აღჭურვეთ სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: სპეც. ტანსაცმლით, სპეც. ფეხსაცმელით, ხმაურმშობით, სპეც. ხელთათმანით, რესპირატორით, თვალისა და სახის დამცავი საშუალებებით, მაღალი ძაბვის დანადგარებთან მომსახურე პერსონალი ვადიანი დიელექტრიკული დაცვის საშუალებებით. უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა, დააწესეთ კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალებთ ისინი ახლით.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 3, „ზ“ ქვეპუნქტი და მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ბ“ ქვეპუნქტი.</p>
4	<p>შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობების უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინეთ მისი დოკუმენტირება.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ა“ ქვეპუნქტი.</p>	<p>შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობების უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინეთ მისი დოკუმენტირება.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ა“ ქვეპუნქტი.</p>
5	<p>საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმეთ, გაზომეთ და შეაფასეთ საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები: ხმაურის დონე, ვიბრაცია, მტვრის კონცენტრაცია, მავნე აირები და მიკროკლიმატის პარამეტრები. ასევე გაზომვების შედეგებიდან გამომდინარე განახორციელეთ პრევენციული ღონისძიებების გატარება.</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №69 „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №67 „სამუშაო ზონის ჰაერში ფიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №70 2014 წლის 15 იანვარი ტექნიკური რეგლამენტი სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ.ა“ და „ზ.ბ“</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმეთ, გაზომეთ და შეაფასეთ საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები: ხმაურის დონე, ვიბრაცია, მტვრის კონცენტრაცია, მავნე აირები და მიკროკლიმატის პარამეტრები. ასევე გაზომვების შედეგებიდან გამომდინარე განახორციელეთ პრევენციული ღონისძიებების გატარება.</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №69 „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №67 „სამუშაო ზონის ჰაერში ფიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №70 2014 წლის 15 იანვარი ტექნიკური რეგლამენტი სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ.ა“ და „ზ.ბ“</p>

	საქართველოს მთავრობის დადგენილება №357 2013 წლის 24 დეკემბერი „დაკანონებული გავრცელების საშუალებების პირველადი და პერიოდული დამოწმება“ დამტკიცების შესახებ
6	საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელი ვალდებულია: უზრუნველყოს დასაქმებულთათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 3, „თ“ ქვეპუნქტი.
7	საწარმო აღჭურვით კოლექტიური დაცვის საშუალებებით. კერძოდ, მოეწყოს ეფექტური ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. ტექნოლოგიური აღჭურვილობის მზრუნავ მექანიზმებზე, პროდუქციის მაფორმირებელ და გამტარ ხაზზე მოეწყოს ფარები, დამცავი გარსები და ბარიერები. მზრუნავი მექანიზმები დახურეთ/დაფარეთ ხუფებით/გისოსებით, საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 3, „ვ“ ქვეპუნქტი
8	დამსაქმებელი ვალდებულია გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. დასაქმებულებისათვის მოეწყოს სველი წერტილები (აბანო, გასახდელები და საპირფარეშო). ასევე დასვენებისა და შესვენების დროს მოსასვენებელი და სასადილო ოთახი. დაიგეგმოს და გატარდეს სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებები. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 10.
9	უზრუნველყავით სამუშაოს ადაპტირება დასაქმებულთან, განსაკუთრებით – სამუშაო სივრცის მოწყობის, სამუშაო აღჭურვილობის, სამუშაო და საწარმოო მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „ი“ ქვეპუნქტი
10	ელექტროდანადგარების შენობის, კამერების, ფარების და შემკრებების (გარდა იმ კამერებისა, რომლებშიც მიმდინარეობს მუშაობა) ვარები დაკეტილი უნდა იყოს ბოქლომით. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბერის დადგენილება №340 ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ მუხლი 5, პუნქტი 12.
11	მაღალ ძაბვასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებულები აღჭურვით დიელექტრიკული საშუალებებით (ხელთათმანი, მაღალი ძაბვის ინდიკატორი ე.წ. ციპა და ა.შ) და აკონტროლეთი მათი ლაბორატორიული შემოწმების ვადები და ვარგისიანობა. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბერის დადგენილება №340 ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ. მუხლი 5, მუხლი 6.

12	<p>დამსაქმებლის ვალდებულებაა ელექტროდანადგარებზე მომუშავე პერსონალის კონტროლი და შემოწმება, რომ იცოდეს წინამდებარე წესები დაკავებული თანამდებობების ან პროფესიის შესაბამისად და მინიჭებული ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების ჯგუფი დანართი №2-ის მიხედვით. მომუშავეს, რომელმაც გაიარა წესების ცოდნის შემოწმება, ეძლევა დადგენილი ფორმის მოწმობა (დანართი №1). მომუშავე ვალდებულია აღნიშნული მოწმობა სამუშაოზე ყოფნის დროს მუდმივად იქონიოს თან.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბერის დადგენილება №340 „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 4, პუნქტი 4.</p>	
13	<p>ამწის კაბინა შესრულებული და აღჭურვილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მასში სათანადო ტემპერატურული რეჟიმი და ჰაერის მომოქცევა სტანდარტების შესაბამისად</p> <p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 15.</p>	
14	<p>ამწეების ექსპლუატაციის გამწევი იერიდიული და ფიზიკური პირები, ვალდებული არიან დანიშნონ პასუხისმგებელი პირები ამწეების ტექნიკური გამართულობის, უსაფრთხო ექსპლუატაციის და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება "ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" მუხლი 29. პუნქტი 2 "ა" ქვეპუნქტი.</p>	
15	<p>დამსაქმებელმა უზრუნველყოს რეგლამენტის მოთხოვნათა მიხედვით ამწის მომსახურე პერსონალის სწავლება და ცოდნის პერიოდული შემოწმება.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება "ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" მუხლი 29. პუნქტი 2 "ბ" ქვეპუნქტი.</p>	
16	<p>ფოლადსადნობ ღუმელებში აზბესტის რულონების გამოყენებისას დაიცავით აზბესტშემცველ მასალებთან მუშაობისადმი სანიტარული წესები და ჰიგიენური მოთხოვნები, ხოლო თუ აზბესტი შეიცავს კროციდოლიტს, ამოზიტს, ანტოფილტს, აქტინოლიტს ან ტრემოლიტს უპირობოდ აკრძალეთ მისი გამოყენება წარმოებაში.</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 14 აპრილის ბრძანება №76/ნ „სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების გამოსხივების წყაროებთან, სამრეწველო მასალებთან და ინსტრუმენტებთან მუშაობისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 3, პუნქტი 4, პუნქტი5, პუნქტი6, პუნქტი7,</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №133/ნ „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტი-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“</p>	

17	<p>აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვა განახორციელეთ კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 13.</p>
18	<p>ზედამხედველი ორგანოს მიერ მოხდა მწვავე ან ქრონიკული პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის N 01-11/ნ ბრძანება სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“-ს მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით დამსაქმებელი ზედამხედველი ორგანოს მიერ ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ვალდებულია შექმნას პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფი ან/და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები: „პროფესიული პათოლოგიების“ მიმართულებით სპეციალიზებული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ი (ჰიგიენის, გარემოს ჯანმრთელობის და გარემოს და პროფესიული მედიცინის და სხვ. შესაბამის სფეროში) ან/და ქიმიკოსი ან/და ტოქსიკოლოგი და სხვა, რომელთა მომსახურების ხარჯებს სრულად ფარავს დამსაქმებელი.</p> <p>ზემოაღნიშნული ღონისძიებები გაატაროთ კანონით განსაზღვრულ ვადებში და მიაწოდოთ ზედამხედველ ორგანოს ინფორმაცია მისი შედეგების შესახებ.</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის N 01-11/ნ ბრძანება სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 4, „გ“ ქვეპუნქტი.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6. პუნქტი 3 „ე“ ქვეპუნქტი</p>
19	<p>აიკრძალოს და ხმარებიდან იქნეს ამოღებული საწარმოში სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოებისათვის კუსტარულად დამზადებული ხის კიბეები.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მუხლი 14.</p>
20	<p>სამუშაო ადგილებზე სადაც არსებობს დასაქმებულების სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე მოაწყვეთ მოაჯირები კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მუხლი 5.</p>

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით
(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება
შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეს.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სამთომოპოვებით და
მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი

სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე
ზედამხედველობის სამმართველოს, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ამავე სამმართველოს მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის განყოფილების
უფროსი სპეციალისტი

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების
განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ
სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

გიორგი ვაჩიანიძე

უფლებამოსილი პირ(ებ)ი:

სამართალდამრღვევი: